

მაგნიტური ჰიდროდინამიკის ზოგიერთი არასტაციონალური ამოცანის შესახებ

მომხსენებელი: **ჯ. შარიქაძე**

შესწავლილია მაგნიტურ ველში მოთავსებული ელექტროგამტარი სითხის არასტაციონალური დინება. ასეთი ჰიდროდინამიკური მოძრაობისას სითხეში ინდუცირდება ელექტრული ველი, რომელიც ცვლის მაგნიტურ ველს. ამ დროს წარმოიშობა რთული სურათი მაგნიტური და ჰიდროდინამიკური მოვლენების ურთიერთქმედებისა. ელექტრომაგნიტური ველისა და სითხის მოძრაობის განტოლებები ქმნიან განტოლებათა ერთიან სისტემას. ჩვენი მიზანია შევისწავლოთ განტოლებათა ეს სისტემა გარკვეულ საწყისსა და სასაზღვრო პირობებში.